ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სახე მისი მისიიდან გამომდინარე იქნება:

☐ პროფესიული კოლეჯი

☑ **საზოგადოებრივი კოლეჯი**

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში დაწესებულების სურვილია განახორციელოს:

☐ პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

☐ მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

☐ <u>მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;</u>

☐ <u>მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;</u>

☐ <u>მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;</u>

☐ სხვა საგანმანათლებლო პროგრამა (მხოლოდ საზოგადოებრივი კოლეჯის შემთხვევაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ირმა ღარიბაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: ბარბარე გონაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

სამეცნიერო-განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული ცენტრი
შემოსულია № _____
_____ 20 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შპს „ჯავახეთის საზოგადოებრივ კოლეჯს“ 2017 წლის 1 მარტს შეუჩერდა ავტორიზაცია. საგანმანათლებლო დაწესებულებამ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების მე-15 მუხლის საფუძველზე, საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მოპოვების მიზნით 2017 წლის 5 სექტემბერს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიტანა საავტორიზაციო განაცხადი (ცენტრში რეგისტრაციის №1013296). შპს „ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის“ 2011 წლის 04 აგვისტოს დამფუძნებელთა კრების ოქმი №1-ის საფუძველზე დამტკიცებული წესდების მე-7 პუნქტის (კოლეჯის ამოცანები), 7.1 ქვეპუნქტის მიხედვით ფიქსირდება ჩანაწერი - „ქმნის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას - **პროფესიულ კოლეჯს“**, ნაცვლად ჩანაწერისა - „ქმნის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას - **საზოგადოებრივ კოლეჯს“**. აღნიშნული ხარვეზი დაფიქსირდა დაწესებულების დებულების მეოთხე მუხლის 4.3 პუნქტში - კოლეჯის მისია, მიზნები და ამოცანები (ბრძ. №01-4; 14.02.2017).

კოლეჯს, თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, სურს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება: „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“, „საოფისე საქმე“, „საფინანსო სერვისები“.

აღნიშნული პროგრამებისთვის ცხრილის სახით წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი და პროგრამის განხორციელების მისამართების მიხედვით (ქ. ახალქალაქი მიკოიანის ქ. №12; რუსთაველის ქ. №23) პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

N	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური (სიტყვიერად)	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა (მისამართების შესაბამისად)	პროგრამის განხორციელების მისამართი/ მისამართები
1	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (მოდულური)	მეხუთე	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 030254	111	141	ქართული	26	ქ. ახალქალაქი მიკოიანის ქ. №12
							26	ქ. ახალქალაქი რუსთაველის ქ. №23
2	საოფისე საქმე (მოდულური)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში	59	89	ქართული	90	ქ. ახალქალაქი მიკოიანის ქ. №12
3	საფინანსო სერვისები (მოდულური)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში	51	66	ქართული	26	ქ. ახალქალაქი მიკოიანის ქ. №12
							22	ქ. ახალქალაქი რუსთაველის ქ. №23

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

II. დაწესებულების მისია

საგანმანათლებლო დაწესებულების დებულების (ბრძ.№01-4; 14.02.2017) შესაბამისად:

„ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის მისიაა შიდა და გარე შრომის ბაზრის სტანდარტებსა და მოთხოვნებზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური პროფესიონალი კადრების მომზადება“

I. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შეფასება:

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ წარმოდგენილ იქნა სამი პროგრამა: **„ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის“ მეხუთე საფეხურის, „საოფისე საქმის“ მეოთხე საფეხურის** (დანართი 1) **და „საფინანსო სერვისების“ მესამე საფეხურის** (დანართი 2) **საგანმანათლებლო პროგრამები** დამტკიცებული კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დირექტორის 2017 წლის 27 თებერვლის №01-11 ბრძანებით. ექსპერტებმა დააფიქსირეს შემდეგი სახის ხარვეზი - „საოფისე საქმე და ღონისძიების ორგანიზების“ და „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტები ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ იქნა 2017 წლის 7 აგვისტოს №475 ბრძანებით. აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტები ახალი რედაქციით დამტკიცდა ცენტრის დირექტორის 2017 წლის 16 აგვისტოს №508 ბრძანებით. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი პროგრამების დამტკიცების თარიღი უსწრებს ცენტრის დირექტორის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების თარიღს და პროგრამების შემუშავების საფუძველი არ არსებობდა.

დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ მათ ყავთ პროგრამის ხელმძღვანელები განსაზღვრული ადმინისტრაციული საბჭოს ოქმი №1 საფუძველზე (დანართი 3). მათ აღნიშნული ოქმი წარმოადგინეს ექსპერტების ვიზიტისას ხელნაწერის სახით. დოკუმენტში მითითებულია, რომ თვითოეული პროგრამისთვის განისაზღვრა პროგრამის ხელმძღვანელები, რომლებიც პროგრამებში განახორციელებდნენ ცვლილებებს (11.08.2017). საგანმანათლებლო დაწესებულების დებულებაში (მუხლი 19. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი“) განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი-დირექტორი.

„ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულია მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და პროგრამის მოცულობა კრედიტებში. წარმოდგენილია, პროგრამის სტრუქტურა და მოდულების ჩამონათვალი - სავალდებულო, სავალდებულო პროფესიული და არჩევითი მოდულები. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულია სწავლების მიდგომები და სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია. საგანმანათლებლო პროგრამაში გაწერილია ინფორმაცია ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. ექსპერტებმა დააფიქსირეს შემდეგი ხარვეზი: საგანმანათლებლო პროგრამა „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 27 თებერვლის №01-11

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ბრძანებით. ამ პერიოდისთვის აღნიშნული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი არ მოიცავდა ჩანაწერს ქართული ენის სწავლების შესახებ. ცენტრის დირექტორის 2017 წლის 16 აგვისტოს №510 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება 2015 წლის 28 ივლისის №536 ბრძანებაში და დამტკიცდა ახალი რედაქციით, რომელიც მოიცავს ჩანაწერს ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის შესაბამისი მოდულები, სასწავლო გეგმა და ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ (სახელი, გვარი, მოდული, რომელსაც ახორციელებს, კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება). აღნიშნული საკითხები მოცემულია ასევე „საოფისე საქმის" და „საფინანსო სერვისების" საგანმანათლებლო პროგრამებში.

„ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის" მოდულური პროგრამის შესაბამისი მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა ასახულია სასწავლო გეგმაში, რომელიც ძირითადად შედგენილია მოდულების წინაპირობისა და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. კვირეული დატვირთვა განისაზღვრება არა უმეტეს 40 საათისა კვირაში. სასწავლო გეგმები ითვალისწინებს მოდულების პარალელურ რეჟიმში სწავლებას.

ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა პარტნიორებთან გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულებები.

<u>ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული პროგრამა:</u> - ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანება (09.03.2017). ურთიერთთანამშრომლობის ვადა - 6 წელი. ხელშეკრულებაში არ არის მითითებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომლის მიღებასაც შეძლებს პრაქტიკის ობიექტი.

<u>საოფისე საქმის პროფესიული პროგრამა:</u> - ქ. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობა (10.03.2017). ხელშეკრულების ვადა - 6 წელი. აღნიშნულ მემორანდუმში მითითებული იყო „ოფის მენეჯერის" საგანმანათლებლო პროგრამა. დაწესებულებამ ვიზიტისას ექსპერტებს წარუდგინა ხელშეკრულება ცვლილებით, სადაც „ოფის მენეჯერის" ნაცვლად მითითებული იყო „საოფისე საქმე". ხელშეკრულებაში არ არის მითითებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომლის მიღებასაც შეძლებს პრაქტიკის ობიექტი.

<u>საფინანსო სერვისების პროფესიული პროგრამა: -</u> 1. შპს "ალპენ მილკის" (ს/ნ [redacted]) (15.06.2017) ურთიერთთანამშრომლობის ვადა - 6 წელი; ხელშეკრულებაში არ არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

მითითებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომლის მიღებასაც შეძლებს პრაქტიკის ობიექტი. 2. „ფინკა ბანკი საქართველო“: - ურთიერთთანამშრომლობის ვადა - 6 წელი.

ვიზიტის პროცესში ექსპერტებმა დაათვალიერეს ყველა ის ობიექტი, რომლებთანაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი.

- ქ. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ შეასრულებენ ხელშეკრულების პირობებს. მათ ანიშნეს, რომ მოითხოვენ დაწესებულებისგან წინასწარ გაწერილ გეგმას, რის მიხედვითაც განახორციელებენ სწავლებას, სტუდენტთა აღრიცხვას, პრაქტიკული უნარების შეფასებას, სწავლის შედეგების დადასტურებას. დაწესებულებაში ქართული ენის ცოდნის პრობლემაა, მაგრამ ყავთ რამოდენიმე (1-2) სპეციალისტი, რომელთაც მიამაგრებენ სტუდენტებს.
- ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორმა აღნიშნა, რომ დახმარებას გაუწევს საგანმანათლებლო დაწესებულებას. საბავშვო ბაღების გაერთიანებაში არის სამი ბაღი ახალქალაქში და რვა ბაღი მიმდებარე სოფლებში. მათ ყავთ ქართული ენის მცოდნე თანამშრომლები, რომლებიც სტუდენტებს გაუწევენ ინსრუქტირებას. მათ აღნიშნეს, რომ დაწესებულებისგან მოითხოვენ წინასწარ გაწერილ გეგმას, რის მიხედვითაც განახორციელებენ სწავლებას, სტუდენტთა აღრიცხვას და პრაქტიკული უნარების შეფასებას, სწავლის შედეგების დადასტურებას.
- „ფინკა ბანკი საქართველოს“ სერვისცენტრის მენეჯერმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულების საფუძველზე მიიღებენ **მხოლოდ იმ სტუდენტებს (ძირითადად წარჩინებულ სტუდენტებს)**, რომელთაც რეკომენდაციას გაუწევს საგანმანათლებლო დაწესებულება. მათ აქვთ გამოცდილება სტუდენტების პრაქტიკაზე მიღების/გატარების. სამი სტუდენტი, რომლებმაც ამ ორგანიზაციაში გაიარეს პრაქტიკა, არიან ძალზედ წარმატებულნი (საგნობრივი პროგრამების სტუდენტები). ბანკის მენეჯერმა აღნიშნა, რომ შესაძლოა ერთი საუკეთესო სტუდენტი დაასაქმონ სწავლის დასრულების შემდგომ. მან აღნიშნა, რომ პრაქტიკის განმავლობაში კონფიდენციალურობიდან გამომდინარე, შესაძლოა ყველა სტუდენტი ყველა საქმეში ვერ ჩაახედონ, მაგრამ მაქსიმალურად ხელს შეუწყობენ მათ. ამ ეტაპზე სტაჟირებას გაატარებენ სესხების ექპერტის მიმართულებით, თუმცა საფინანსო სერვისები მოიაზრებს ბანკის მოლარეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

და მოლარე ოპერატორის შესაბამის სწავლის შედეგებს. ბანკის მენეჯერი ამჟამად აწარმოებს მოლაპარაკებას იურიდიულ განყოფილებასთან, რათა მიიღონ ნებართვა სტუდენტების სალაროში დაშვების შესახებ (შეძლონ, გაატარონ პრაქტიკა ფულთან მუშაობზე) სერვისცენტრის მენეჯერმა აღნიშნა, რომ თვითონ მოახდენს სტუდენტების შეფასებას და შედეგების დადასტურებას საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან მიღებული მითითებებისა და რეკომენდაციების მიხედვით.

- შპს „ალპენ მილკის" წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი ბუღალტერი არის საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი. ის განახორციელებს სტუდენტების პრაქტიკის მეცადინეობების ინსტრუქტირებას და სწავლის შედეგების დადასტურებას. ზედამხედველობას გაუწევს პროფესიულ სტუდენტთა ჩანაწერების ჟურნალის წარმოებას, კერძოდ, სტუდენტთა გამოცხადების აღრიცხვას საწარმოში და ყოველკვირეულად მოახდენს პროფესიულ სტუდენტთა ჩანაწერების ჟურნალის, როგორც სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულების დამოწმებას. მათ აქვთ საწარმოში სტუდენტების მიღების და პრაქტიკის გატარების გამოცდილება.

ორგანიზაციების დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი მატერიალური ბაზით, რომელიც შესაბამისობაშია მოდულის განხორციელებისთვის საჭირო ტექნიკურ აღჭურვილობებთან. აღსანიშნავია, რომ სამუშაო ადგილზე, სადაც პროფესიულ სტუდენტებს მოუწევთ სწავლა, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია მუშაობის უსაფრთხოების წესები, პირადი ჰიგიენის და სანიტარულ-ჰიგიენური დაცვის ნორმები. **მოცემული პრაქტიკის ობიექტები ვერ შეძლებენ დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ყველა სტუდენტის მიღებას (საოფისე საქმე-დაწესებულების მიერ მოთხოვნილია 59 სტუდენტი, და საფინანსო სერვისები-დაწესებულების მიერ მოთხოვნილია 51 სტუდენტი)**, აღნიშნული არ ეხება ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანებას.

პროგრამა „საოფისე საქმის" საწარმოო პრაქტიკის მოდულში პრაქტიკის ობიექტად მითითებულია - სსიპ ი.ჭავჭავაძის სახელობის ახალქალაქის №3 საჯარო სკოლა. თუმცა მემორანდუმში არასწორადაა პროგრამის დასახელება მითითებული, კერძოდ - „ოფისის მენეჯერი". ამის გამო ამ დაწესებულებაში არ განვახორციელეთ ვიზიტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი: (ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამა; მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა)

№	პროგრამის დასახელება	კრედიტების რაოდენობა

<u>სხვა საგანმანათლებლო პროგრამებს ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯი არ ახორციელებს.</u>

პროგრამების განხილვისას გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზი:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტები „საოფისე საქმე და ღონისძიების ორგანიზება“ და „საფინანსო სერვისები“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №475 ბრძანებით დამტკიცდა 2017 წლის 7 აგვისტოს. აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტები ახალი რედაქციით დამტკიცდა ცენტრის დირექტორის 2017 წლის 16 აგვისტოს №508 ბრძანებით. შესაბამისად დაწესებულების დირექტორს 2017 წლის 27 თებერვალს საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების საფუძველი არ ჰქონდა.
- „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის“ პროფესიული პროგრამა, რომელიც 2017 წლის 27 თებერვალს დამტკიცდა დაწესებულების დირექტორის მიერ, მოიცავს ჩანაწერს ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით. 2017 წლის 16 აგვისტოს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №510 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში და დამტკიცდა ახალი რედაქციით, რომელიც ითვალისწინებს ჩანაწერს ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით. საგანმანათლებლო დაწესებულებას „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის“ პროფესიულ პროგრამაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ქართული ენის შესახებ ჩანაწერის განხორციელება შეეძლო 2017 წლის 18 აგვისტოს შემდგომ.

<u>ქვესტანდარტი 1.1. დარღვეულია</u>

დასტურდება:

- შპს „ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის" წესდება. დამტკიცებული 04.08.2011. დამფუძნებელთ კრების ოქმი №1;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი", შპს „ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის" დირექტორის 2017 წლის 27 თებერვლის ბრძანება №01-11;
- შპს „ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის" წესდება (სანოტრო მოქმედების რეგისტრტაციის № [redacted] 06.02.2017);
- შპს „ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის" საოფისე საქმის მეოთხე საფეხურის, ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის, საფინანსო სერვისების მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ (ბრძ. №01-11. 27.02.2017);
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი - ა(ა)იპ ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანებასთან (09.03.2017);
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი - ქ. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი - შპს „ალპენ მილკის" საწარმოსთან;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი - „ფინკა ბანკი საქართველოსთან";
- ადმინისტრაციული საბჭოს ოქმი №1, პროგრამებში ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით (11.08.2017);
- ინტერვიურება კოლეჯის ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიურება დაწესებულებების/ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან;
- ვიზიტები მოდულური პროგრამების საწარმოო და გაცნობითი პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- დანართი 1; დანართი 2; დანართი 3.

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

შეფასება:

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. კატალოგი ატვირთულია საგანმანათლებლო დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

<u>ქვესტანდარტი 1.2. არ არის დარღვეული.</u>

დასტურდება:

- კატალოგით, რომელიც წარმოდგენილია ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის ვებ გვერდზე www.profcollege.ge .

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

შეფასება:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის", „საოფისე საქმის" და „საფინანსო სერვისების" მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებს ბაგა-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ბაღის აღმზრდელი პედაგოგი - 01101-პ; საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზება - office work and event managment - 04113-პ; საფინანსო სერვისები - Finance services – 04117-პ.

უნდა აღინიშნოს ის, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2017 წლის 16 აგვისტოს N508 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2017 წლის 7 აგვისტოს №475 ბრძანებაში და „საოფისე საქმე და ღონისძიებების ორგანიზების" და „საფინანსო სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი დამტკიცდა ახალი რედაქციით. აღნიშნული ინფორმაცია დაწესებულებებს მიეწოდა 2017 წლის 18 აგვისტოს. ასევე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2017 წლის 16 აგვისტოს №510 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2015 წლის 28 ივლისის №536 ბრძანებაში და „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი დამტკიცდა ახალი რედაქციით. <u>აღნიშნული ინფორმაცია დაწესებულებებს მიეწოდა 2017 წლის 18 აგვისტოს.</u>

დაწესებულებამ თვითშეფასების დოკუმენტი წარმოადგინა 2017 წლის 5 სექტემბერს. „საოფისე საქმე და ღონისძიებების ორგანიზების" და „საფინანსო სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტები 2017 წლის 27 თებერვალში არ არსებობდა.

<u>აღსანიშნავია, რომ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში პროფესიული კვალიფიკაცია „საფინანსო სერვისები" არ არსებობს.</u>

<u>შენიშვნა: დაფიქსირდა ხარვეზი - „მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში" კვალიფიკაცია არ არსებობს</u>

<u>ქვესტანდარტი 1.3. დარღვეულია.</u>

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“, შპს „ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის“ დირექტორის 2017 წლის 27 თებერვლის ბრძანება №01-11;
- შპს „ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის“ საოფისე საქმის მეოთხე საფეხურის, ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის, საფინანსო სერვისების მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ (ბრძ. №01-11. 27.02.2017);
- ინტერვიურება კოლეჯის ადმინისტრაციასთან;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო.

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

შეფასება:

საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა მარეგულირებელი დოკუმენტები. შპს „ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის“ დებულებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და სტატუსის შეწყვეტის წესი. სამართლებრივი აქტით მიღებულია სტუდენტის მობილობის, პროფესიული განათლებისა და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობები. ასევე, კოლეჯის გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულებას იტოვებს პროფესიულ სტუდენტს დაასრულებინოს შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

<u>ქვესტანდარტი 1.4. არ არის დარღვეული.</u>

დასტურდება:

- შპს „ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის“ დებულება (ბრძ.№01-4; 14.02.2017).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

შეფასება:

დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 14 თებერვლის №01-4 ბრძანებით დამტკიცებულ შპს ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის დებულების მე-6 თავში (მუხლი 28) გაწერილია მოდულური პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი, რომლის თანახმადაც კოლეჯი პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას. დაწესებულება ვალდებულებას იღებს გააფორმოს ხელშეკრულება სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. დაწესებულება უფლებას იტოვებს შესთავაზოს სტუდენტს ამავე ან სხვა დაწესებულებაში, იმავე მიმართულებისა და სპეციალობის ფარგლებში განხორციელებულ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა მობილობის წესით. თუ დაწესებულებამ ამ პირობების განხორციელება ვერ უზრუნველყო, ვალდებულებას იტოვებს პროფესიულ სტუდენტს დაასრულებინოს შესაბამისი საფესურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მუხლი 28; პუნქტი - 28.1 (გ)).

<u>აღსანიშნავია, რომ შპს ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის დებულების მე-6 თავში (მუხლი 28, პუნქტი 28.2) მოცემულია შემდეგი ჩანაწერი-„მოდულური პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით **დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან**“.</u>

დაწესებულებას არ აქვს მემორანდუმები გაფორმებული იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სადაც მოახდენენ საჭიროების შემთხვევაში სტუდენტების გადანაწილებას სწავლების დასასრულებლად.

<u>ქვესტანდარტი 1.5. დარღვეულია</u>

14

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

დასტურდება:

- შპს „ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის“ დებულება (ბრძ.№01-4; 14.02.2017).

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

შეფასება:

შპს „ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის“ დირექტორის 2017 წლის 14 თებერვლის №01-4 ბრძანებით დამტკიცებულ შპს ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის დებულების მე-2 თავში (მუხლი 5) გაწერილია კოლეჯის სტრუქტურა, რომელიც საქმიანობის ფორმის მიხედვით მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას: მმართველობითი, ადმინისტრაციული და სასწავლო. სასწავლო საქმიანობის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს - 1. სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, 2. ბიბლიოთეკა, და 3. სამეურნეო, დაცვისა და სასუფთავების სამსახური. დაწესებულების დებულებაში გაწერილია კოლეჯის ადმინისრტაციული საქმიანობის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების - დირექტორის მოადგილის, სასწავლო პროცესის მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის დანიშვნისა და გათავისუფლების პირობები, ვალდებულებები და საქმიანობა.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე“ მოდელს. განსაზღვრულია შიდა შეფასების მექანიზმის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებზე პასუხისმგებელი პირები. საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების სისტემა“ (ბრძ.№01-9; 20.02.2017), რომელიც მოიცავს 4 მუხლს, კერძოდ: მუხლი 1-პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება; მუხლი 2-სწავლების ხარისხის შეფასების ციკლის ეტაპები; მუხლი 3-ხარისხის შემოწმების - კითხვარების ფორმები; მუხლი 4-დასკვნითი დებულება. მოცემულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროგრამის შეფასებას დაწესებულება განახორციელებს ორ ეტაპად:-პროგრამის მიმდინარეობისას და პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

დასრულების შემდეგ. დოკუმენტში განსაზღვრულია სწავლების ხარისხის შეფასების ციკლები- დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე.

დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 27 თებერვლის ბრძანებით №01-12 დამტკიცებული სტუდენტის კითხვარის ფორმა, ასევე კურსდამთავრებულთა, ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლის და პროფესიული განათლების მასწავლებლის/პრაქტიკის ინსტრუქტორის გამოკითხვის ბარათები.

<u>ქვესტანდარტი 1.6. არ არის დარღვეული</u>

დასტურდება:

- შპს „ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის“ დებულება (ბრძ.№01-4; 14.02.2017).
- შპს „ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების სისტემა (ბრძ.№01-9; 20.02.2017).
- ადმინისტრაციული საბჭოს ოქმი №1 (11.08.2017).
- ინტერვიურება.
- კითხვარები (ბრძ. №01-12; 27.02.2017).

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

შეფასება:

შპს „ჯავახეთის საზოგადოებრის კოლეჯს“ სასწავლო პროცესების განსხორციელებლად აქვს 2 ფართი. ორივე მათგანი არის საცხოვრებელი სახლი, რომლებიც ამ ეტაპზე მეტ-ნაკლებად ადაპტირებულია სწავლებისთვის. ორივე მათგანი კოლეჯს იჯარით აქვს აღებული. შენობები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

მდებარეობს სხვადასხვა მისამართზე. აქედან ერთ-ერთი მდებარეობს მის: ქ. ახალქალაქი, რუსთაველის ქ. № 23, მესაკუთრე - ჯემმა კაროიან ([redacted]), ს.კ. [redacted]
აღნიშნული შენობა ნაგებობის დაზუსტებული ფართობია: ერთი შენობა-121.9 კვ.მ და მეორე შენობა ამავე ეზოში: 34.7 კვ.მ , ჯამში: 156.6 კვ.მ
მეორე ორსართულიანი შენობა მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქ. ახალქალაქი, მიკოიანის ქ. №12, საკ. კოდი: [redacted] მესაკუთრე - [redacted]). დაზუსტებული ფართობი -188.3 კვ.მ
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. ახალქალაქი, რუსთაველის ქ. № 23	156.6
2	ქ. ახალქალაქი, მიკოიანის ქ. №12	188.3

დასტურდება:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის ნომერი [redacted] სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი 10.02.2017. (მისამართი: მიკოიანის №12). ხელშეკრულების ვადა - 10 წელი, (ხელშეკრულება იჯარის შესახებ 10.02.2017).
- <u>ხელშეკრულება იჯარის შესახებ</u> 10.02.2017. (მისამართი: რუსთველის №23). ხელშეკრულების ვადა - 7 წელი. ხელშეკრულების ვადა - 7 წელი. თან ახლავს სანოტარო აქტი: დათარიღებული-10.02.2017 წლით. რეგისტრაციის ნომერი: [redacted] დამქირავებელი - შპს „ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯი", ს/კ [redacted]. საჯარო რეესტრის ამონაწერით კი ფიქსირდება <u>უძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულება,</u> რეგისტრაციის ნომერი

17

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

[redacted] დამოწმების თარიღი 19/09/2012. დამქირავებელია - შპს „ჯავახეთის პროფესიული კოლეჯი", ს/კ [redacted]. <u>აღსანიშნავია რომ საიდენტიფიკაციო კოდი იდენტურია (განსხვავებულია დასახელებები).</u>

- აზომვითი ნახაზები (იხ. დანართი 4).

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

შეფასება:

ექსპერტების მიერ მოხდა საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამებისთვის გამოყოფილი აუდიტორიების ვიზუალური დათვალიერება. ექსპერტებმა შეამოწმეს ადგილზე არსებული ინვენტარი, ტექნიკური მოწყობილობები, მათი რაოდენობები და მონაცემები.

სამივე პროგრამისთვის გათვალისწინებული ზოგადი სავალდებულო მოდულები ისწავლება შემდეგ აუდიტორიებში: №104, 302 (კომპიუტერებით აღჭურვილი აუდიტორია), 203, 301, 202, 303.

მის: რუსთაველია ქ. №23.

აღნიშნულ შენობაში არის 7 ოთახი, აქედან 5 აუდიტორია გამოიყენება სასწავლო მიზნებისთვის, 1 ბიბლიოთეკა და 1 დირექტორის და მასწავლებლების სამუშაო ოთახი.

№301-აღჭურვილია 12 სკამ-მერხით, ოთახში არის 1 მასწავლებლის მაგიდა სკამით, 1 ლეპტოპი, პროექტორი, ეკრანი, ცარცის დაფა, ფლიფჩარტის დაფა (იხ. ფოტომასალა)

№302- <u>კომპიუტერული ოთახი.</u> სასწავლო მიზნებისთვის აღნიშნულ ოთახში განთავსებულია 12 კომპიუტერი (აქედან 4 მოძველებული მოდელი), 1 ლეპტოპი, 1 ტრიბუნა, 1 მასწავლებლის მაგიდა კომპიტერით და კომბაინით (პრინტერი, სკანერი), 10 ჩვეულებრივი სკამი, 6 სკამ-მერხი, 10 მერხი (აქედან 6-ზე კომპიუტერებია მოთავსებული), ცარცის დაფა, ფლიფჩარტის დაფა. (იხ. ფოტომასალა).

<u>სტუდენტთა სამუშაო კომპიუტერებში არ არის ჩაწერილი მოდულის მიხედვით საჭირო საბანკო პროგრამა „ალტა".</u>

№303 <u>(შესასვლელი)</u>-სასწავლო მიზნებისთვის აღნიშნულ ოთახში განთავსებულია 6 ორკაციანი მერხი, 12 სკამი, 1 მასწავლებლის მაგიდა სკამით, 1 დაფა, 1 მონიტორი. (იხ. ფოტომასალა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

№304-<u>ბიბლიოთეკა</u>. განთავსებულია 1 მაგიდა სკამით, 2 სავარძელი, 1 ლეპტოპი. ბიბლიოთეკაში არ არის გამოკრული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი", **არ არის ქსეროქსი, პრინტერი.** ბიბლიოთეკის ფართი არის პატარა მოცულობის, ფაქტობრივად არ არის სამკითხველო დარბაზის სივრცე. **მოდულებში მითითებული სახელმძღვანელოები არ აქვთ.** ბიბლიოთეკაში ძირითადად მხატვრული ლიტერატურაა განთავსებული (იხ. ფოტომასალა).

№305– სასწავლო მიზნებისთვის აღნიშნულ ოთახში განთავსებულია 12 სკამ-მერხი, 1 მასწავლებლის მაგიდა, 1 ლეპტოპი, 1 დაფა (იხ. ფოტომასალა).

№307- სასწავლო მიზნებისთვის აღნიშნულ ოთახში განთავსებულია 9 სკამ-მერხი, მასწავლებლის მაგიდა სკამით, დაფა (იხ. ფოტომასალა).

<u>**შენიშვნა: 302 და 303 სასწავლო ოთახები გამჭოლია.**</u>

მის: მიკოიანის ქ. №12

აღნიშნული შენობა არის ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლი. შენობის ორივე სართულზე განლაგებულია აუდიტორიები. შენობა შედგება **8** ოთახისგან. აქედან **6** ოთახი მოწყობილია სასწავლო მიზნებისთვის, ერთი ოთახი გამოყოფილია ბიბლიოთეკისთვის და ერთი ოთახი სამასწავლებლოა.

პირველი სართული:

№101 - **ბიბლიოთეკა** (ოთახი მოსაწყობია დანიშნულების შესაბამისად).

№102 – სასწავლო აუდიტორია. განლაგებულია 12 სკამ-მერხი და დაფა.

№103 - სასწავლო დანიშნულების. განლაგებულია 15 სკამ-მერხი, მასწავლებლის მაგიდა.

№104 – სასწავლო აუდიტორია. განლაგებულია 8 სკამ-მერხი, მასწავლებლის მაგიდა და დაფა.

1 სველი წერტილი. (იხ. ფოტომასალა)

<u>**სასწავლო ოთახები გამჭოლია.**</u>

მეორე სართული:

№201 – სასწავლო დანიშნულების. ოთახში განთავსებულია 6 მერხი, 13 სკამი, მასწავლებლის მაგიდა და დაფა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

№202 – სასწავლო დანიშნულების. ოთახში განთავსებულია 13 სკამ-მერხი, 1 მასწავლებლის მაგიდა სკამით და დაფა.

№203 – სასწავლო დანიშნულების. ოთახში განთავსებულია 5 დიდი მერხი (3 ადგილიანი), 6 ორადგილიანი მერხი, 28 სკამი, მასწავლებლის მაგიდა და დაფა.

№204 - **სამასწავლებლო** (განლაგებულია მხოლოდ დივანი და სავარძლები).

შენობაში არის სუსტი ხელოვნური განათება. პირველ სართულზე ერთ ოთახში (104) განთავსებულია საყოფაცხოვრებო ნივთები (სამზარეულო მოწყობილობები - გაზქურა, ჭურჭლის კარადა, ჭურჭლის სარეცხი ნიჟარა, წყლის გამაცხელებელი). <u>სასწავლო ოთახები გამჭოლია.</u>

ასევე აღნიშნულ შენობა აღსაჭურვია ტექნიკური საშუალებებით, როგორიცაა-კომპიუტერი მასწავლებლისთვის, დემონსტრირების ციფრული საშუალებები, პრინტერი, სკანერი (მოდულების შესაბამისად).

აღნიშნულ მისამართზე დაწესებულებას სურს სამივე პროგრამის განხორციელება-1. ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი, 2. საოფისე საქმე და 3. საფინანსო სერვისები. აღნიშნული პროგრამების ყველა მოდულში მითითებულია საწავლო გარემო (A ან/და B) და სასწავლო ოთახების ნომრები. ოთახები მოდულების შესაბამისად აღჭურვილი უნდა იყოს მასწავლებლის კომპიუტერით და დემონსტრირების ციფრული საშუალებებით. <u>აღსანიშნავია, რომ იმ მოდულებს, რომლებშიც მითითებულია B გარემო, სასწავლო ოთახის ნომერი მითითებულია 302 (კომპიუტერებით აღჭურვილი ოთახი მეორე შენობაში მისამართზე - რუსთაველის ქ. 23).</u> პროგრამების თვითოეულ მოდულში განსაზღვრულია მოდულის განმახორციელებელი პირები საკონტაქტო ინფორმაციით. სასწავლო გარემოს მოდელი ვიზუალურად დათვალიერებისას მოთხოვნების შესაბამისად არ იყო გადანაწილებული.

დასკვნა:

1. <u>რუსთაველის ქ. 23</u>

დაწესებულებაში (5 აუდიტორიაში) სულ არის 39 სკამ-მერხი, 10 მერხი, 22 სკამი. მოცემული რესურსი დააკმაყოფილებს/უზრუნველყოფს <u>59 სტუდენტს.</u> დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ადგილების ზღვრული რაოდენობაა <u>48</u> (26 ადგილი - ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროგრამაზე; 22 ადგილი - საფინანსო სერვისები). <u>302 და 303 სასწავლო ოთახები გამჭოლია.</u> 303

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ოთახი არის შესასვლელი, რომელიც ადმინისტრაციის განმარტებით გამოიყენება აუდიტორიად და აღჭურვილია მატერიალური რესურსით. სტუდენტი 302, 305 და 307 აუდიტორიებში ვერ მოხვდება, თუ არ გაიარა 303 სასწავლო აუდიტორია.

2. მიკოიანის ქ. №12

პირველი სართული - სულ 35 სკამ-მერხი;

მეორე სართული - სულ 12 მერხი ორადგილიანი, 5 მერხი სამადგილიანი, 13 სკამ-მერხი, 40 სკამი.

(52 ადგილი).

ჯამი: სულ 87 ადგილი. დაწესებულების მიერ ადგილების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობაა - 142 მოცემულ მისამართზე. სწავლების განხორციელების შემთხვევაში, ადგილების რაოდენობა საკმარისი არ არის მოცემულ მისამართზე.

აღსანიშნავია, რომ აუდიტორიები გამჭოლია. ასევე შენობის პირველ სართულზე აუდიტორიებში განთავსებულია არასასწავლო ნივთები-გაზქურა, ჭურჭლის კარადა, ჭურჭლის სარეცხი ნიჟარა, წყლის გამაცხელებელი, რის გამოც აღნიშნულ აუდიტორიაში სწავლების განხორციელება მიზანშეწონილი არ არის. სასწავლო ოთახები უზრუნველყოფილი არ არის მასწავლებლის კომპიუტერით და დემონსტრირების ციფრული საშუალებებით.

დაწესებულების მიერ ადგილების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობაა - 190.

დაწესებულებას აქვს მხოლოდ 12 კომპიუტერი. კომპიუტერების მოცემული რაოდენობა 190 პროფესიულ სტუდენტს ვერ დააკმაყოფილებს. საგანმანათლებლო დაწესებულება ორივე მისამართზე არსებული ადგილების რაოდენობით აღნიშნული ოდენობის პროფესიულ სტუდენტს ვერ დააკმაყოფილებს.

ქვესტანდარტი 2.1 ორივე მისამართზე დარღვეულია

დასტურდება:

- ფოტომასალით;
- ვიზუალური დათვალიერებით.
- მასალების შესყიდვის და ნაჩუქრობის დოკუმენტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

შეფასება:

შენობაში, რომელიც მდებარეობს რუსთაველის ქ. №23 არის გათბობა, კარგი ბუნებრივი და ხელოვნური განათება, ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა (არის როგორც ელექტროენერგია, ასევე გენერატორი), 2 სველი წერტილი (საჭიროებს გარკვეული სანიტარული სამუშაოების ჩატარებას).

შენობაში, რომელიც მდებარეობს მიკოიანის ქ. №12-ში მოსაწესრიგებელია გათბობა და განათება. არის მხოლოდ 1 მოქმედი სველი წერტილი. არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა. აღნიშნულ შენობაში ძირითადად გათბობა მოხდება ელექტროღუმელებით, თუმცა დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის ბატარეიები (ძველი მოდელი). გათბობის ბატარეიების გამართულობა ვერ დადგინდა, ვინაიდან არ იყო ჩართული. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში დაამატებენ ელექტროღუმელებს.

<u>ქვესტანდარტი 2.2 რუსთაველის ქ. №23 მისამართზე არ არის დარღვეული</u>

<u>ქვესტანდარტი 2.2 მისამართზე - მიკოიანის ქ. №12 დარღვეულია</u> **(დაწესებულების ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია, რომ მოაწესრიგონ ხელოვნური განათება. ერთი სველი წერტილი პირველ სართულზე შესასვლელში საჭიროებს სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვით მოწყობას. მოსაწესრიგებელია პირველი სართულის სასწავლო ოთახები. იხ. სურათები).**

დასტურდება:

- ფოტომასალით
- გენერატორის ფლობის დოკუმენტაციით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

შეფასება:

შენობაში, რომელიც მდებარეობს რუსთაველის ქ. №23, არის ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილი ოთახი (304). წარმოდგენილი წიგნები არ შეესაბამება სასწავლო ლიტერატურას, უმეტესი მათგანი განეკუთვნება მხატვრულ ლიტერატურას. დაწესებულებაში შემუშავებულია <u>ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, ვიზიტის პროცესში არ იყო გამოკრული.</u> ვიზიტისას წარმოადგინეს ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი არასრული ჩამონათვალით და მოდულებიდან ამოკრებილი ელექტრონული სახელმძღვანელოების დასახელებები სამ CD დისკზე საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად.

ბიბლიოთეკაში არ არის სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1 მაგიდა სკამით, 2 სავარძელი, 1 ლეპტოპი. არ არის ქსეროქსი, პრინტერი. ბიბლიოთეკის ფართი არის პატარა მოცულობის, ფაქტობრივად არ არის სამკითხველო დარბაზის სივრცე. მოდულებში მითითებული სახელმძღვანელოები არ აქვთ.

შენობაში, რომელიც მდებარეობს მიკოიანის ქ. №12-ში არის ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი ოთახი (№ 101). ბიბლიოთეკა სრულად არის აღსაჭურვი საგანმანათლებლო რესურსით.

<u>**ქვესტანდარტი 2.3 ორივე მისამართზე დარღვეულია**</u>

დასტურდება:

- ფოტომასალით;
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება.

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შპს „ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯი“ იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, კოლეჯს აქვს ინტერნეტი, რომელიც მუშაობს შეფერხებით და უკაბელო შიდა ქსელი (Wifi) მთელს შენობაში მისამართზე - რუსთაველის ქ. №23. კოლეჯს გააჩნია თავისი ვებ-გვერდი www.profcollege.ge

საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ასევე დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტი 2.4 არ არის დარღვეული მისამართზე რუსთაველის ქ. №23.

ქვესტანდარტი 2.4 დარღვეულია მისამართზე მიკოიანის ქ. №12

დასტურდება:

- ფოტომასალით;
- სილქნეტთან ხელშეკრულებით.

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:

დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2017 წლის 13 თებერვლის ბრძანება №01-1 შპს „ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის საქმის წარმოების დებულების“ შესახებ, რომელიც ეფუძნება საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საქმის წარმოების ერთიან წესების“ მოთხოვნებს. დაწესებულებას გააჩნია საქმის წარმოების დადგენილი წესები. დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

დაწესებულების ფილიალში (მიკოიანის ქ. №12) უზრუნველყოფილი არ არის საქმისწარმოების, დაწესებულების რეგულაციების, ერთიანი მიდგომების გამოყენება ეფექტური კომუნიკაციის დონეზე ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებლებს შორის.

ქვესტანდარტი 2.5 არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერება;
- აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალებით;
- შპს „ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის საქმის წარმოების დებულება“ (ბრძ. №01-1; 13.02.2017)

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

შეფასება:

საგანმანათლებლო დაწესებულების ორივე შენობაში (რუსთაველის ქ. №23; მიკოიანის ქ. №12) განთავსებულია ცეცხლმაქრები გამართულ მდგომარეობაში. გამოკრულია სათანადოდ უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმებული ევაკუაციის გეგმა. შესაბამისობაშია მოსაყვანი საევაკუაციო გეგმაზე მითითებული ცეცხლმაქრების მდებარეობა და შენობაში განთავსებული ცეცხლმაქრები.

კოლეჯში შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები; საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების ინსტრუქცია; სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების ინსტრუქცია. კოლეჯს ყავს ექიმი. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, დაწესებულებას შეძენილი აქვს პირველადი დახმარების აღმოსაჩენად საჭირო ინვენტარი, რომელიც ვარგისია გამოყენებისთვის. დაწესებულებამ წარმოადგინა 2017 წლის 14 თებერვალს დირექტორის №01-4 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები“, სადაც გაწერილია წესრიგის დაცვის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

<u>ქვესტანდარტი 2.6 არ არის დარღვეული</u>

დასტურდება:

- შპს „ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის“ ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები (ბრძ.№01-9; 20.02.2017);
- წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (ბრძ. №01-9; 20.02.2017; მთავარი დოკუმენტის დანართი);
- შპს „ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის “სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები (ბრძ.№01-9; 20.02.2017; მთავარი დოკუმენტის დანართი);
- შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები (ბრძ.№01-4; 14.02.2017);
- ინტერვიურება;
- ვიზუალური დათვალიელება.

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

შეფასება:

რუსთაველის ქ. №23 - დაწესებულებას არ გააჩნია ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის. დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ აქვთ გასაშლელი პანდუსი, მაგრამ ადგილზე ვერ ვნახეთ. ასევე, სველი წერტილები არ არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის.

მიკოიანის ქ. №12 - შენობის შესასვლელში არის მოწყობილი ლითონის პანდუსი, თუმცა არ არის ხელის მოსაკიდი მოაჯირი. შენობა ორსართულიანია, მეორე სართულზე ასასვლელ კიბეებზე მოწყობილია ხის პანდუსები. ერთი სველი წერტილი ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის (იხ. სურათი). აღსანიშნავია, რომ აუდიტორიები გამჭოლია, არ არის იზოლირებული შესასვლელი, რაც ასევე ქმნის ბარიერს სსსმ სტუდენტებისთვის.

<u>ქვესტანდარტი 2.7 ორივე შენობაში დარღვეულია</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

დასტურდება:

- ფოტომასალით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

შეფასება:

ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებ-გვერდზე წარმოდგენილია საგანმანათლებლო დაწესებულების მისია, მიზნები და ამოცანები. ასევე მითითებულია სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია (საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი). ვებგვერდზე ატვირთულია მარეგულირებელი დოკუმენტები, დაწესებულების სტრატეგიული და ერთწლიანი (2017-2018) სამოქმედო გეგმები, კატალოგი (კატალოგში ვებგვერდის მისამართი დასაზუსტებელია), დაწესებულების სტრუქტურა, საკონტაქტო ინფორმაცია.

<u>ქვესტანდარტი 2.8 არ არის დარღვეული</u>

დასტურდება:

- ვებგვედით(http://profcollege.ge/ge/)

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 16 თებერვლის ბრძანების №01-6 საფუძველზე შემუშავებულია სტრატეგიული განვითარების გეგმა 2017-2023 წლებისთვის. გეგმა წარმოდგენილია ცხრილის სახით, სადაც გაწერილია ღონისძიებების დასახელება-სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის და ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის. წარმოდგენილია შპს ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის „დაწესებულების განვითარების ერთწლიანი 2017-2018 წლის სამოქმედო გეგმა", სადაც განსაზღვრულია დაგეგმილი აქტივობები და შესრულების პერიოდი პასუხისმგებელი პირების მითითებით. სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და ემსახურება მისი მიზნების მიღწევას.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მიზნები შეესაბამება კოლეჯის მისიას და ითვალისწინებს კოლეჯის ორგანიზაციული და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, კოლეჯის ინფრასტრუქტურის, პროფესიული სწავლების ხარისხის პროფორიენტაციის და სოციალური პარტნიორობის გაუმჯობესების სამუშაოების ჩატარებას. დაწესებულებამ წარმოადგინა სვოტ ანალიზი.

<u>ქვესტანდარტი 2.9 არ არის დარღვეული</u>

დასტურდება:

- შპს ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის „დაწესებულების განვითარების ერთწლიანი 2017 -2018 წლის სამოქმედო გეგმა", (ბრძ.№01-6. 16.02.2017);
- შპს ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის „დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო გეგმა", (ბრძ.№01-6. 16.02.2017);
- ინტერვიურება.

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

საზოგადოებრივი კოლეჯი აპირებს განახორციელოს „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის“ მეხუთე საფეხურის, „საოფისე საქმის“ მეოთხე საფეხურის და „საფინანსო სერვისების“ მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება.

თვითთოეულის ჩარჩოში წარმოდგენილია მასწავლებელთა სია შესასწავლი მოდულების მიხედვით.

გადამოწმებულ იქნა თვითთოეულის პირადი საქმე, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დაწესებულებას არ აქვს დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელთა მიმართებაშიც მოხდება პერსონალის კვალიფიკაციის შედარება.

<u>ქვესტანდარტი 3.1 არ არის დარღვეული</u>

დასტურდება:

- პერსონალის პირადი საქმით.

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

შეფასება:

თითოეული პროგრამის განმახორციელებელის კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება შეესაბამება დაკავებულ პოზიციას.

<u>ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე,</u> დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით კოლეჯი გეგმავს სტუდენტთა მიღება გამოაცხადოს 52 ადგილზე. პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებელთა რაოდენობაა-11;

ინტერვიურებისას კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სურთ სწავლება განახორციელონ ორ ცვლაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

<u>სტანდარტი 3.2 არ არის დარღვეული</u>

დასტურდება:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლების პირადი საქმეები;
- პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- ხელშეკრულებები პროფესიულ მასწავლებლებთან.

3.3 დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობა

შეფასება:

საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროგრამების/მოდულების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, დასაქმების მსურველთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევა და სამსახურში აყვანის გაფორმება განსაზღვრულია კოლეჯის მიერ.

დაწესებულებას მასწავლებლებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები, რომლებიც ძალაში შედის მოდულური პროგრამების დამატების და სასწავლო ჯგუფების დაკომპლექტების შემთხვევაში. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 1 წლის ვადით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/ დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარდა ადმისტრაციის ხელშეკრულებების ერთეული შემთხვევებისა. კონკრეტულად ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული ხელფასის ოდენობა. ვიზიტის დროს აღნიშნული ხარვეზი დაწესებულების მიერ იქნა აღმოფხვრილი.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის მომენტისთვის დაწესებულებას არ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

გააჩნდა დადგენილი პირობები პერსონალის შერჩევის/დანიშვნის წესისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ.

<u>ქვესტანდარტი 3.4 არ არის დარღვეული</u>

დასტურდება:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლების პირადი საქმეები;
- პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
- ხელშეკრულებები პროფესიულ მასწავლებლებთან.

რეკომენდაციები:

- დაწესებულების დებულებაში გვხვდება ჩანაწერი: 29.6-„სწავლის შედეგის დადასტურება ერთი პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ ხდება". ეს ჩანაწერი ეწინააღმდეგება ჩანაწერს 29.4-„უარყობითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დაადასტუროს სწავლის შედეგი პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დაადასტურა. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს 2-ჯერ გავიდეს დამატებით გამოცდაზე" (მუხლი 29. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება). სასურველია 29.6 ჩანაწერი ამოღებულ იქნეს დებულებიდან.
- სასურველია, რომ ბიბლიოთეკაში სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა ელექტრონულ სახელმძღვანელოებზე CD დისკის სახით და მოხდეს მათი აღრიცხვა ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში.
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე (vet.ge/სიახლეები-და-მულტიმედია/რესურსები/edu_resources/) მოიძიონ და ჩამოტვირთონ „სტუდენტის სახელმძღვანელოები" და „მასწავლებლის გზამკვლევები" მათთვის საჭირო პროგრამებისთვის. <u>მიზანშეწონილია</u> საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ამობეჭდონ რამოდენიმე ეგზემპლიარად და განათავსონ ბიბლიოთეკაში სასწავლო პროცესის დაწყებამდე, რათა ხელმისაწვდომი იყოს თვითოეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

სტუდენტისთვის. მოხდეს ბეჭდური სახელმძღვანელოების აღრიცხვა ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში.

- მიზანშეწონილია მიკოიანის ქ. №12 სასწავლო ოთახები უზრუნველყოფილ იქნეს მასწავლებლის კომპიუტერით და დემონსტრირების ციფრული საშუალებებით. შენობის პირველი სართულის სასწავლო ოთახი გათავისუფლდეს სამზარეულო მოწყობილობებისგან-გაზქურა, ჭურჭლის კარადა, ჭურჭლის სარეცხი ნიჟარა, წყლის გამაცხელებელი).
- ექსპერტთა რეკომენდაციით მიზანშეწონილია სასწავლო პროცესის განხორციელებამდე ხელშეკრულებები გაფორმდეს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რათა საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს სტუდენტთა მობილობა.
- მიზანშეწონილია დაწესებულების წარმომადგენლებმა გადახედონ შენობაში გამოკრულ საევაკუაციო გეგმას და შესაბამისობაში მოიყვანონ ცეცხლმაქრების განთავსება შენობაში.
- დაწესებულების ფილიალში (მიკოიანის ქ. №12) უზრუნველყოფილ იქნას საქმის წარმოების, დაწესებულების რეგულაციების, ერთიანი მიდგომების გამოყენება ეფექტური კომუნიკაციის დონეზე ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებლებს შორის.

IV. თანდართული დოკუმენტაცია (სულ გვ. 22)

დანართი 1 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი-საოფისე საქმე, დამტკიცებული 2017 წლის 27 თებერვალს. №01-11 (4 გვ.)

დანარტი 2 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი-საფინანსო სერვისები, დამტკიცებული 2017 წლის 27 თებერვალს. №01-11 (4 გვ.)

დანართი 3 - ადმინისტრაციული საბჭოს ოქმი №1 (2 გვ.)

დანართი 4 - საკადასტრო ნახაზები (12 გვ.)

ქ. თბილისი 01/12/2017

(შევსების ადგილი) თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.